ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №95

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის” მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „შემსყიდველი ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთის მხრივ სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი მისი დირექტორი ირაკლი ათუნაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)
და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „კორომი” ს/ნ 224067729** მისი დირექტორის რამაზი თედორაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანი - საოფისე ხარჯი
საქონლის დასახელება

ლურსმანი 40მმ	კგ	1	6,5	6,50
სამუშაო ხელთათმანი (შავ-წითელი) N:10 (HERLY) ELD422	ცალი	16	1,45	23,20
BNO45200Y შესაფუთი წებვადი ლენტი 45 მმ x200 მ გამჭვირვალე	ცალი	1	5,1	5,10
შურუფი ხის 6*50	ცალი	100	0,1	10,00
თვითმჭ.ხის 5*30	ცალი	500	0,04	20,00
GA065B AKFİX 705 MDF KİT (B100GR+400ML)	ცალი	1	14,4	14,40
NS2 დრელის ლითონის თავაკი შეკვრაში 65mm	ცალი	1	4	4,00

3.2 დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები
3.3 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
3.4 შესყიდვის კატეგორია – (CPV) კოდი – CPV 18100000 – 23,20 ლარი, CPV 24900000 – 14,40 ლარი, CPV 42600000 – 4.00 ლარი, CPV 44100000 – 6,50 ლარი, CPV 44400000 – 5,10 ლარი, CPV 44500000 – 30,00 ლარი, რომელიც განხორციელდება (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით).

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადები - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია, სასაქონლო ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი).

5. ხელშეკრულების ღირებულება

5.1. მისაწოდებელი საქონლის ღირებულება შეადგენს 83.20 (ოთხმოცდასამი ლარი 20 თ) ლარს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსხოთვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მიაწოდოს შესყიდული საქონელი.

7.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
7.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირი, რომლის ვინაობა საქონლის ან მომსახურების მახასიათებლის გათვალისწინებით დადგინდება ცალკე ბრძანებით.
7.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების შესახებ.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით შეტყობინებიდან 2 (ორი) დრეში გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი.

8. მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი საგადასახდო დოკუმენტის, „მიღება-ჩაბარების“ აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებლს შორის უფლება მოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
9.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის, „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში:
9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო . გადარიცხვა მოხდება მიმწონებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დაბატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10..2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

12 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

12.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02% ოდენობით.

12.2 იმ შემთხვევაშუ თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2(ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
12.3 . შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 9.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსლია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველს ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02% ოდენობით.
12.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეულ მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას,ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დარჩენილ სხვა შემთხვევაში.
13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. დავების გაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
14.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. სხვა პირობები

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 01 სექტემბერი ჩათვლით.

(რიცხვი, თვე, წელი)

16. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელთა ეგზემპლარები გადაცემულია მხარეებისთვის

შემსყიდველი ორგანიზაცია:

ს.ს.ი.პ მესხეთის (ახალციხის)

პროფესიული სახელმწიფო

დრამატული თეატრი

ქ. ახალციხე ,თამარ მეფის ქ. №6

სახელმწიფო ხაზინა

სახაზინო კოდი TRSEGE22

ს/კ 224072928

ანგარიში № **708277015**

დირექტორი: ი. ათუნაშვილი

LEPL Meskheti (akhaltsikhe) professional state drama theatre

Digitally signed by LEPL Meskheti (akhaltsikhe) professional state drama theatre
Date: 2023.06.28 15:47:35 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს „კორომი“

ს/ნ 224067729

ქ. ახალციხე.

საქართველოს ბანკი BAGAGE22

№ **GE64BG0000000121665400**

დირ. რ. თედორაძე

LTD KOROMI

Digitally signed by LTD KOROMI
Date: 2023.06.28 15:56:58 +04'00'